პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---აგვისტო 2024 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ანაპის 414 დივიზიის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ბაბუშერას აეროპორტში ავიაკატასტროფის დროს დაღუპული ვენერა გაბუნიას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, ანაპის 414 დივიზიის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ბაბუშერას აეროპორტში ავიაკატასტროფის დროს დაღუპული ვენერა გაბუნიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**



17-032409964-0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო

АҨСНЫТӘИ АВТОНОМТӘ РЕСПУБЛИКАТӘ МЧЫЛА АҚӘТҨРА ЗЫҚӘШӘАЗ АУААҨСЫРА РМИНИСТРРА

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA

N 633/03
08/07/2024

633-03-2-202407081819

ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის საკრებულოს წინაშე შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მომართა აფხაზეთიდან დევნილმა პაატა ბაღათურიამ.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ 1993 წლის 22 სექტემბერს, ტრაგიკულად დაეღუპა დედა - **ვენერა მიხეილის ასული ბაღათურია** (დაბ. თარიღი 22.09.1953 წ.), რომელიც იმყოფებოდა აფხაზი სეპარატისტების მიერ, ბაბუშარას აეროპორტში ჩამოგდებულ სამხედრო მოსამსახურეთათვის განკუთვნილ თვითმფრინავში. განმცხადებლის სურვილია ქ. თბილისის ნებისმიერი რაიონის/უბნის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს გარდაცვლილი დედის სახელი.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საზოგადოება ღირსეულ პატივს მიაგებდეს სამშობლოსათვის დაღუპულთა ხსოვნას, მათი სახელების უკვდავყოფას, შესაბამისად, ვიზიარებთ პაატა ბაღათურიას სულისკვეთებას და ვშუამდგომლობთ, ქ. თბილისის ნებისმიერი რაიონის/უბნის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთში ტრაგიკულად დაღუპული მოქალაქის - **ვენერა მიხეილის ასული ბაღათურიას** სახელი.

წინასწარ გიხდით მადლობას თანადგომისა და მხარდაჭერისთვის.

დანართი: ტრაგიკულად დაღუპული მოქალაქის დოკუმენტაცია.

პატივისცემით,

დავით ფაცაცია

მინისტრი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/ QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **პ/22968503**
თარიღი: **14/08/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრის დავით ფაცაციას 2024 წლის 09 ივლისის საქმე #04-03241911-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ვენერა გაბუნიას სახელის მინიჭება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ანაპის 414 დივიზიის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩის სიტუაციური ნახაზი (შემდგომში ვენერა გაბუნიას ქუჩა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 18 (ტვრამეტი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

ვენერა გაბუნია

(1953-1993)

დაიღუპა 1993 წელს ბაბუშერას აეროპორტში ავიაკატასტროფისას

ვენერა გაბუნია დაიბადა 1953 წლის 22 სექტემბერს ჩხოროწყუს რაიონის ოფელ ახუთში.

1960-1968 წლებში სწავლობდა ახუთის საშუალო სკოლაში, სადაც დაამთავრა 8 კლასი.

1969-1972 წლებში სწავლობდა ქალაქ სოხუმის სამედიცინო ტექნიკუმში, მედდის სპეციალობაზე.

1973 წელს დაოჯახდა(მეუღლე რომან ბაღათურია).

1981-1993 წლებში მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის დაქვემდებარებულ ორგანიზაციაში რკინიგზის თეთრეულის ბაზაში.

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 22 სექტემბერს იმყოფებოდა თვითმფრინავში, რომელიც ბაბუსერას აეროპორტში იქნა ჩამოგდებული. სავარაუდოდ დაკრძალულია ბაბუშერას სასაფლაოზე.